ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599745511

N 143
26/03/2018

143-07-3-201803261251

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის **2018** წლის 22 მარტის სხდომის ოქმს N3, კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.

დანართი: ოქმი -2 (ორი) ფურცელი.
დასკვნა -1 (ერთი) ფურცელი
სარეგისტრაციო - 2(ორი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი გვარჯალაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასრუქტურის კომისიის

**სხდომის ოქმი N3**

ქ. ლანჩხუთი 22.03.2018 წ

12.00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

**კომისიის წევრები:** კახა ბოლქვაძე, ოთარ პატიეშვილი, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე, რეზო კვაჭაძე, კახა თედორაძე, ელისო ჭიჭინაძე, ბესიკ კუპრაძე, ემზარ თევდორაძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ლელა ჩახვაძე, ამირან ქანთარია, აკაკი იმანაიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ცისანა ურუშაძე, ირაკლი მარშანიშვილი.

**მოწვეული სტუმრები:** ვერიკო კვირკველია, დათო ჩხარტიშვილი, ალექსანდრე მახათაძე.

**კომისიის თავმდჯომარემ გიორგი გვარჯალაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

**/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/**

2. სხვადასხვა.

**კომისიის თავმდჯომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 10; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** განაცხადა, რომ რეგლამენტში განხორციელდა რიგი ცვლილებები და კომისიის წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები.

კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმდჯომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;**

**მომხრე:10;** **წინააღმდეგი: არცერთი.**

**2. სხვადასხვა**

1. კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** განაცხადა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას დაეწერა (N2 19.03.2018 წელი) წერილი. რომელშიც ა.(ა).ი.პ. ,,კეთლიმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრი"-ს ხელმძღვანელობა ითხოვს გამოიყოს ტერიტორია, სადაც მოწყობა ე.წ „ჩიხი" მოთარეშე პირუტყვის დროებითი იზოლაციისათვის და ასევე მესაკუთრეს დაეკისროს ჯარიმის გადახდა.
კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მოიწვიონ შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და მათთან ერთად განიხილონ აღნიშნული პრობლემა.

2. კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** განაცხადა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას დაეწერა ა.(ა).ი.პ. "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" ყოფილი დირექტორის დურმიშხან ჩხაიძის წერილი, რომელშიც იგი ითხოვს "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" ცალკე კლუბად დაფუძნებას. კლუბი დაკომპლექტდება "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" სატურნირო განაცხადში წარდგენილი სპორტსმენებით და დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბის ფუნქციონირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 10%-ით დაფინანსება მოხდება სპონსორის მიერ. ასევე გუნდი მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნება მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისკენ.

დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** განაცხადა, რომ ის წინააღმდეგი იყო „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის" ცალკე გამოყოფის. მან დამატებით კიდევ გაიარა კონსულტაცია იურისტთან, შესაბამისად დარწმუნდა ამის აუცილებლობაში და ეთანხმება კლუბის ცალკე გამოყოფას.

დეპუტატმა **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება გოგონათა ექსპერიმენტული სარაგბო-საფეხბურთო სკოლის დამოუკიდებელ კლუბად გამოეყოს.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ის ეთანხმება გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის ცალკე კლუბად გამოყოფას, მაგრამ ერთი პირობით, თუ მოაწესრიგებენ ჰიგიენურ პირობებს.

კომისიამ საბოლოოდ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ "გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა" ჩამოყალიბდეს ცალკე კლუბად.

**ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.**

**საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული**
**დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის**
**კომისიის თავმჯდომარე:** **გიორგი გვარჯალაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N3

ქ.ლანჩხუთი 22.03.2018წ.

2018 წლის 22 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/

2. სხვადასხვა.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გ. გვარჯალაძე გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

22.03.2018 წ.

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი გვარჯალაძე | |
| 2. | ცისანა ურუშაძე | |
| 3. | კახა ბოლქვაძე | |
| 4. | ბესიკ კუპრაძე | |
| 5. | ოთარ პატიეშვილი | |
| 6. | სპარტაკ კვაჭაძე | |
| 7. | ლელა ჩახვაძე | |
| 8. | ზაზა წულაძე | |
| 9. | რეზო კვაჭაძე | |
| 10. | კახა თედორაძე | |
| 11. | იოსებ ჩხაიძე | |
| 12. | ემზარ თევდორაძე | |

| | | |
|---|---|---|
| 13 | ამირან ქანთარია | არ ეწინააღმდეგები |
| 14 | აკაკი იმნაიშვილი | არ ეწინააღმდეგები |
| 15 | ელისო ჭიჭინაძე | ე. ჭ |
| 16. | ირაკლი მარშანიშვილი | არ ეწინააღმდეგები |